დაძაბული, სპორტული...

ერევანი. ”რაზდანის” სტადიონი. 18 სექტემბერი.

”არარატი” (ერევანი) – ”დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

”არარატი”: ვასილიევი, კირაკოსიანი, აღ. სარქისიანი, პოღოსიანი, რაფ. გალუსტიანი (რობ. გალუსტიანი), პეტროსიანი, პ. გალუსტიანი. ალ. სარქისიანი. ყასაბოღლიანი, მელიქიანი, მხითარიანი (ოჰანესიანი).

”დინამო”: აბუსერიძე, ჟიბა, (პაიკიძე), ჩივაძე, უკლება, ჩიქოვანი, კაკილაშვილი (ჟვანია), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კოპალეიშვილი, შენგელია.

მსაჯი: ა. ხორლინი (მოსკოვი).

როგორ სპორტულ ფორმაშიც არ უნდა იყვნენ, გათამაშების ცხრილში რა ადგილიც არ უნდა ეჭიროთ, ამ გუნდების მატჩი ყოველთვის დაძაბული, საინტერესო სპორტული ბრძოლით გამოირჩევა.

გამონაკლისი არც ეს შეხვედრა გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ არც ”არარატი” და არც ”დინამო” წლევანდელ საფეხბურთო სეზონში საპრიზო ადგილებისთვის არ იბრძვიან, ამ მატჩის მნახველი ფეხბურთის მოყვარული უთუოდ კმაყოფილი დარჩებოდა: თამაშის საკმაოდ მაღალი ტემპი პირველი წუთიდან მატჩის ბოლომდე არ დაცემულა, მინდორზე ბევრი იყო ლამაზი კომბინაცია, შორიდან მოულოდნელი დარტყმები, თავგანწირული ბრძოლა დაცვაში, მეკარეთა ლამაზი ნახტომები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც ხარობს ფეხბურთის გულშემატკივარი.

თბილისელებს უკვე მატჩის დასაწყისში შეეძლოთ დაწინაურება. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს გუცაევმა, შენგელიამ... და საერთოდ, ”დინამომ” ამ შეხვედრაში იმდენი საგოლე სიტუაცია შექმნა, რომ უკანასკნელ ხანებში ნათამაშებ რამდენიმე მატჩს ეყოფოდა. ქართველი ფეხბურთელები თამაშობდნენ სწრაფად, ფორვარდები და ნახევარმცველები ბევრს მოძრაობდნენ, ხშირად ”იხსნებოდნენ” და ამიტომაც იყო, რომ თითქმის ყოველ სიტუაციაში ბურთის მფლობელ ფეხბურთელს იერიშის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა. ისიც სათქმელია, რომ თბილისელები მეტწილად საუკეთესოს ირჩევდნენ.

69-ე წუთზე პაიკიძე-გუცაევი-კოპალეიშვილის კომბინაცია უკანასკნელის ზუსტი დარტყმითა და გოლით დასრულდა - 1:0.

მასპინძლებმა გოლი 84-ე წუთზე გაქვითეს. თბილისელთა კართან შექმნილ არეულ სიტუაციაში პოღოს გალუსტიანმა იმარჯვა და დამარცხებას გადაარჩინა ”არარატი” – 1:1.

ბ. ირემაძე.
”ლელო”, 20 სექტემბერი, 1983 წ.